



DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთადაცვა

გერმანიის სისხისადაცვა მხარდობა

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი თებერვალი 2017

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

ბიზნეს მოთხოვნები გერმანიიდან

ყველა ქვემოთ ხსენებულ ბიზნეს მოთხოვნაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ketevan.vachiberidze@georgien.ahk.de

მომწოდებელი პარტნიორი კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში

გერმანული კომპანია MRGH, რომელიც წარმატებით საქმიანობს კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში და ფლობს ფართო გასაღების არხებს სუპერმარკეტებში, ეძებს მომწოდებელ პარტნიორს სხვადასხვა სახის პროდუქტისათვის: დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.mrgc.de

პარტნიორი ტექსტილის წარმოების სფეროში

გერმანული კომპანია Kasalla Textil, რომელიც ეწევა მომსახურებას ტექსტილის სფეროში, ეძებს პარტნიორს გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის ნებისმიერი სახის სამოსის წარმოების კუთხით. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.kasalla-textil.de

ლიცენზია ენერჯო ეფექტური შეშის ღუმელის წარმოებისათვის

გერმანული კომპანია HDG Bavaria GmbH, რომელიც აწარმოებს ენერჯო ეფექტურ შეშის ღუმელს, გთავაზობთ ლიცენზიას წარმოებისა და რეალიზაციისათვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ketevan.vachiberidze@georgien.ahk.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ავტო ნაწილებისათვის გერმანული კომპანია STRAUB Autoteile, რომელიც წარმოადგენს ავტომობილის ორიგინალი ნაწილების ექსპორტიორს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.straub-autoteile.com

პარტნიორი თხევადი სარეცხი საშუალებებისათვის გერმანული კომპანია Petra GmbH, რომელიც აწარმოებს პრემიუმ ხარისხის თხევად სარეცხ საშუალებებს, ეძებს პარტნიორს გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.vitayes.de

პარტნიორი საკვები და სასმელი პროდუქტის შეფუთვის საბეჭდი მანქანებისათვის

გერმანული კომპანია Remele Verpackungsmaschinen GmbH, რომელიც აწარმოებს პროდუქტის შეფუთვისათვის განკუთვნილ საბეჭდ მანქანა-დანადგარებს კვების ინდუსტრიაში, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.remele-gmbh.com

სადისტრიბუციო პარტნიორი კოსმეტიკისა და სხეულის მოვლის საშუალებებისათვის

გერმანული კომპანია Petra, რომელიც აწარმოებს მაღალი ხარისხის სხეულის მოვლის საშუალებებსა და კოსმეტიკას, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.vitayes.de

მომწოდებელი პარტნიორი სამზარეულოსა და საყოფაცხოვრებო ნივთებისათვის

გერმანული კომპანია Globetrade Group, რომელიც წარმოადგენს მსხვილ ონლაინ სავაჭრო პლატფორმას, ეძებს მაღალი ხარისხის სამზარეულოსა და საყოფაცხოვრებო ნივთების მწარმოებელ პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.globetrade-group.de

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საქმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საქმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნთა უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სისხის სახის პროდუქციის მიწოდება

სადისტრიბუციო პარტნიორი შინაური ცხოველების საკვებისათვის

გერმანული კომპანია ZFT Zentrum für Tiernahrung GmbH, რომელიც აწარმოებს შინაური ცხოველების პრემიუმ ხარისხის საკვებს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.dr-link-tiernahrung.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ინდუსტრიული პროდუქტებისთვის

გერმანული კომპანია industry Engineering Consulting ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს ელექტრო ტექნიკის, მანქანა-დანადგარების, სხვადასხვა აღჭურვილობისა და იარაღებისათვის. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.iec-support.com

სადისტრიბუციო პარტნიორი ენერჯო ტექნიკისათვის

გერმანული კომპანია INTES Energietechnik, რომელიც გთავაზობთ გარემოსათვის უსაფრთხო და ეკონომიურ ენერჯო ტექნიკას, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.intes-energietechnik.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ეკოლოგიურად სუფთა ტექსტილის პროდუქტებისათვის

გერმანული კომპანია TINAtex, რომელიც აწარმოებს მიკრო ბოჭკოვან და ეკოლოგიურად სუფთა ტექსტილის პროდუქტებს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.tinatex.eu

სადისტრიბუციო პარტნიორი კოსმეტიკური საშუალებებისათვის

გერმანული კომპანია Badestrand Kosmetik e.K., რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის მოვლისა და კოსმეტიკურ საშუალებებს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.badestrand-kosmetik.de

მომწოდებელი პარტნიორი პირველადი მოხმარების პროდუქტებისათვის

გერმანული კომპანია Scandinavian-Park Petersen KG, რომელიც წარმოადგენს პირველადი მოხმარების საგნების

ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო კომპანიას, ეძებს მომწოდებელ პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.scandinavian-park.com

სადისტრიბუციო პარტნიორი კოსმეტიკური საშუალებებისთვის

გერმანული კომპანია Abgur GmbH, რომელიც აწარმოებს ბიო-კოსმეტიკურ საშუალებებსა და საკვების დანამატებს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.abgur.com

სადისტრიბუციო პარტნიორი ძრავების ავტომატიზაციის სისტემებისთვის

გერმანული კომპანია MSF-Vathauer Antriebstechnik, რომელიც სპეციალიზდება ძრავების ტექნიკის ინდუსტრიაში, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს ავტომატიზაციის ინოვაციური, დეცენტრალიზებული სისტემებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.msf-technik.de

წარმოების პარტნიორი ფიტნეს აღჭურვილობისთვის


გერმანული კომპანია eGym GmbH, რომელიც აწარმოებს „High-Tech“ ფიტნეს აღჭურვილობას, ეძებს წარმოების პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.egym.de/business

პარტნიორი სხვადასხვა სახის პროდუქციის მიწოდებისთვის

გერმანული სადისტრიბუციო კომპანია Unternehmensgruppe MG-4U, რომელიც წარმოადგენს საკვები პროდუქტებისა და სასმელების, მედიკამენტების, კოსმეტიკისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტების წამყვან იმპორტიორს, ეძებს პროდუქციის მიმწოდებელ პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.mg-4u.eu

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საქმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საქმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნით უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

ერემსაქმის სისტემის მხარდობა

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ ბანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: ketevan.vachiberidze@georgien.ahk.de

AKA ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

2012 წლიდან გერმანული AKA ბანკი (საექსპორტო კრედიტების საზოგადოება Ausfuhrkredit-Gesellschaft m.b.H., Aka Bank, www.akabank.de) აფინანსებს ექსპორტს ერთი მილიონი ევროდან ზევით გერმანიიდან საქართველოში. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით 2012 წლის გაზაფხულზე გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულა-

ციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: http://europa.eu/youreurope/business/expanding-business/doing-business-outside-eu/germany/index_en.htm

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Export Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: EU Neighbourhood Info

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სისხისსისხის სისხისსისხის

დაგეგმილი ღონისძიებები

ჩვენი ღონისძიებების პარტნიორია:



DWV მრგვალი მაგიდა ლოგისტიკისა და საბაჟო საკითხებზე - 2 მარტი, 2017

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება თავისი წევრებისა და პარტნიორებისთვის მართავს მრგვალი მაგიდის შეხვედრას თემაზე: ლოგისტიკა და საბაჟო საკითხები საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ტვირთის ეფექტიანი გადაადგილებისთვის. შეხვედრას დაესწრებიან მოწვეული სტუმრები: პროფ. გიორგი დობორჯგინიძე - TransCare GmbH-ს წარმომადგენელი კავკასიაში, საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის დირექტორი პროფ. ზურაბ შენგელია - საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის გენერალური მდივანი. შეხვედრა გაიმართება ინგლისურ ენაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზაირა სოლოევას: zaira.soloeva@georgien.ahk.de

DWV -ს „Get together“ ღონისძიება

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მომდევნო „get together“ ჩატარდება ოთხშაბათს, 15 მარტს, 18:00 საათზე, ივერია კაფეში, ვარდების რევოლუციის მოედანი 1. „Get together“ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების როგორც წევრი, ასევე არაწევრი ორგანიზაციების გერმანულად მოსაუბრე

წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება ყოველ-თვიურად. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

DWV-ბიზნეს ფორუმი საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერთან, ფინანსთა მინისტრთან, ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) თავისი წევრი კომპანიებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის მართავს ბიზნეს ფორუმს. საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერთან, ფინანსთა მინისტრთან ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად. მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრის მიზანს წარმოადგენს 2017 წლის ლარიზაციის სამთავრობო გეგმის პერსპექტივების და გაცვლით კურსზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორების განხილვა. ღონისძიების მეორე ნაწილში გაიმართება DWV-ს წლიური ანგარიში 2016-ის პრეზენტაცია. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ქეთევან ქვლივიძეს: ketevan.kvividze@georgien.ahk.de

Messe Frankfurt-ის გამოფენა ISH 2017

2017 წლის 14-18 მარტს Messe Frankfurt წარმოგიდგინთ 5 დღიან თანამედროვე და უახლესი სამშენებლო, სააბაზანო, ენერგეტიკული, კონდიციონერებისა და განახლებადი ენერჯო სისტემების საერთაშორისო გამოფენას ISH 2017, რომელიც 2.400-ზე მეტ მონაწილეს უმასპინძლებს. გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია ვორქშოუები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები. დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.ish.messefrankfurt.com დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზაირა სოლოევას: zaira.soloeva@georgien.ahk.de

DWV 09350580 სახელმწიფო შესყიდვები: საკვალიფიკაცია

მოთხოვნები და ელექტრონული შესყიდვების პროცესში არსებული რისკები - 16 მარტი, 2017 ტრენინგის მიზანს წარმოადგენს ცოდნის სისტემატიზაცია ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო, სატენდერო დოკუმენტაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთინანგა

გერმანიის სოხთხასკას შიხაკიოილ

მიზეზები, ელექტრონული შესყიდვების პროცესში არსებული რისკები: სატენდერო პროცედურების შეწყვეტა, ტენდერის ხელოვნურად ჩაშლა, დისკვალიფიკაციის ბოროტად გამოყენება, გარიგება, ხელშეკრულების ცვლილება და სხვა. კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული ცოდნის გაზიარებას აღნიშნული მიმართულებით. ტრენინგს გაუძღვება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სპეციალისტი, ბატონი ზურაბ მაისურაძე.

ტრენინგის სრული პროგრამა და სარეგისტრაციო ფორმა იხილეთ აქ.

მონაწილეობის მსურველებმა, გთხოვთ, 2 მარტამდე გამოაგზავნოთ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა შემდეგ ელ. ფოსტაზე: ketevan.kvividze@georgien.ahk.de



DWV-ს და IFC-ს ერთობლივი ორდღიანი ტრენინგი:

სურსათის უვნებლობა, HACCP სისტემა - 23-24 მარტი, 2017

ტრენინგი ხელს შეუწყობს სურსათის მწარმოებელ და გადამამუშავებელ კომპანიებს, რესტორნისა და გასტრონომიის სფეროს წარმომადგენლებს გაეცნონ მსოფლიოში არსებულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, შეიმუშაონ და დანერგონ HACCP-ის სისტემა საკუთარ საწარმოში.

HACCP-ის მოთხოვნების დანერგვა დაეხმარება კომპანიებს საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში და ადგილობრივ ბაზარზე არსებული საერთაშორისო საცალო ქსელების სანდო მომწოდებელთა სიაში მოხვედრაში.

ტრენინგს გაუძღვება IFC-ს სურსათის უვნებლობის სპეციალისტი, ქალბატონი ნათია მგელაძე, რომელსაც აქვს საცალო და გადამამუშავებელი საწარმოებისთვის სურსათის უვნებლობის, ხარისხის და ინტეგრირებული მართვის სისტემების შემუშავების და დანერგვის მრავალწლიანი გამოცდილება.

ტრენინგის სრული პროგრამა და სარეგისტრაციო ფორმა იხილეთ აქ.

მონაწილეობის მსურველებს, გთხოვთ, 14 მარტამდე გამოაგზავნოთ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა შემდეგ ელ. ფოსტაზე: ketevan.kvividze@georgien.ahk.de

Messe Frankfurt-ის გამოფენა Automechanika Istanbul 2017

2017 წლის 6-9 აპრილს მესე ფრანკფურტი ქალაქ სტამბულში მართავს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გამოფენას Automechanika Istanbul 2017, რომელიც 1,282-ზე მეტ მონაწილეს უმასპინძლებს. 42,000-მდე დამთვალიერებელს შანსი ეძლევა გაეცნოს ინოვაციებსა და ახალ შესაძლებლობებს ავტომობილებისა და სარემონტო მომსახურების სფეროში. Automechanika Istanbul არის მთავარი პლატფორმა ახალი ბიზნეს კონტაქტებისათვის.

დამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: automechanika-istanbul.tr.messefrankfurt.com, ან მიმართეთ ზაირა სოლოევას, zaira.soloeva@georgien.ahk.de

DWV-სა და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის საერთო ღონისძიება ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ბოლნისში - 22 აპრილი, 2017

„გერმანული მემკვიდრეობა საქართველოში - მომავალი ეკუთვნის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებსა და საზოგადოებას.“ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ინიციატივითა და გერმანულ-ქართული წლის კონტექსტის გათვალისწინებით, შაბათს, 2017 წლის 22 აპრილს გაიმართება ექსკურსია ბოლნისში. DWV-ს წევრი, „გერმანული წისქვილი“-ს სასტუმროში დაგეგმილ ღონისძიებას საპატიო სტუმრად ეწვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშენებლობის ყოფილი მინისტრი და თავისუფალი დემოკრატიის პარტიის (FDP) გენერალური მდივანი, ქალბატონი დოქ. ირმგარდ შვეცერი. პროგრამის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია ქალაქის დათვალიერება და DWV-ს წევრის, ჰილარიუს პიუტცის ღვინის პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღება უფასოა და პროგრამის დეტალურად გაცნობას შეძლებთ ჩვენი ვებ-გვერდის, ბიზნეს ბიულეტენისა და მოსაწვევის საშუალებით. მოხარული ვიქნებით თქვენი ჩართულობით გერმანულ-ქართულ ეკონომიკურ საზოგადოებაში.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საქმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საქმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნით უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სოციალური მხარდაჭერის

DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება მის ახალ წევრებს:

ორგანიზაცია:

GANieckisch LTD – არქიტექტურა, მშენებლობა www.ganikiesch.ge

ინდივიდუალური წევრი:

Hans H. Schneider - კონსალტინგი

DWV-ს წევრი კომპანიების მიერ გამოცხადებული ვაკანსიები

უფროსი აუდიტორი -

კრესტონ პაპიაშვილი კონსალტინგი აცხადებს ვაკანსიას უფროსი აუდიტორის პოზიციაზე. განცხადების სრული ტექსტი იხილეთ [აქ](#).

Solutions HI –

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული ტექსტი იხილეთ [აქ](#).

თიბისი ბანკი -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ [აქ](#).

კომპანია ნიკორა -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ [აქ](#).

გერმანულენოვანი ოპერატორი -

CMX Solutions აცხადებს ვაკანსიას გერმანულენოვანი ოპერატორის პოზიციაზე. განცხადების სრული ტექსტი იხილეთ [აქ](#).

Adjara Group Hospitality -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ [აქ](#).

"თეგეტა მოტორსი" -

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ [აქ](#).

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ [აქ](#).

DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამსაქმებელთა ასოციაციების პარტნიორობა პროფესიული განათლებისა და სწავლების სფეროში

პროექტი დაფინანსებულია გერმანიის ხელისუფლების მიერ. საქართველოში პროექტს ახორციელებს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. გერმანიის მხარე (დონორები და განმახორციელებლები): BMZ, SEQUA, (BMWV e.V). პროექტის ხანგრძლივობა: 2016-2018

პროექტის ძირითადი მიზანია ახალგაზრდებისათვის დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებას საქართველოში. პროექტის ფარგლებში დამსაქმებელთა ასოციაცია და კერძო სექტორის წარმომადგენლები სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას პროფესიული სწავლების პროცესში.

პროექტის მიმართულებები:

- კვალიფიციურ კადრებზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნის რეგულარული გამოვლენა.
 - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ წარმოადგინა კონცეფცია „ბიზნესი, როგორც ადგილზე სწავლება“ ახორციელებს როგორც საპილოტე პროექტს.
 - განვითარდა მეწარმეობითი და/ან ტექნიკური აზროვნების ხელშეწყობის კონცეფცია „სკოლა, როგორც ადგილი სწავლებისათვის“ და მიმდინარეობს საპილოტე პროექტის სახით.
 - თანამშრომლობა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა და პროფესიული სწავლების სფეროს ინდუსტრიებთან
- პროექტი დაგეგმილია გრძელვადიანი პერსპექტივით.

Rainer’s -ის „Get together“ ღონისძიება

Rainer’s -ის მომდევნო „Get together“ ჩატარდება 30 მარტს 19 საათიდან რაინერის პიცერიაში, ბარნოვის ქ. 32.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სოსხის სახელმწიფო

ბაზარზე Schuchman Wines Georgia-ს მიერ წარმოებული ყურძნის წიპწის ზეთი გამოჩნდა

ბაზარზე Schuchman Wines Georgia-ს მიერ წარმოებული ყურძნის წიპწის ზეთი გამოჩნდა. როგორც „ბიზნეს კონტრაქტს“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნუცა აბრამიშვილმა განუცხადა, პროდუქცია პირველ ეტაპზე ღვინის მდარეობაში განთავსდება.

როგორც ნუცა აბრამიშვილი განმარტავს, ზეთის დასამზადებლად ყურძნის წიპწა რთველის დროს მოგროვდა და ყურძნისგან წიპწის გამოჩევა ხელით მოხდა. ნუცა აბრამიშვილის თქმით, ამ პროცესში სეზონზე 60-მდე ადამიანი იყო დასაქმებული.

„ეს არის 100%-იანი ბიო პროდუქტი. ყურძნის წიპწის ზეთი არის კარგი პროდუქტი, რომელიც გამოირჩევა უმაღლესი ხარისხის მიკროელემენტებით. მისი შემადგენლობა ხელს უწყობს კანის გაახალგაზრდავებას, შესაბამისად, ადგილობრივი სპებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ამასთან, გამოიყენება კულინარიაში, ქართულ კერძებს მალთან უხდება“- აცხადებს ნუცა აბრამიშვილი.

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) არის გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა (DIHK) და გერმანიის სავაჭრო სავაჭრო პალატის (AHK) ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში. იგი წარმოადგენს იმ ფორმათა საწვერო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ-ქართულ/სომხურ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 170-ზე მეტ წევრს ითვლის, რომლებიც ქართული/სომხური და გერმანული

ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენენ. 2013 წლის 1 მარტს, სომხეთში გაიხსნა DWV-ს ფილიალი. DWV რეგისტრირებული გაერთიანებაა და შესაბამისად არ წარმოადგენს კომერციულ იურიდიულ პირს.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ტერნეს უძრავი ქონების ფონდი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია), რაინერ კაუფმანი (G+R Gastro) და მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი

წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს/სომხეთს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოსა და სომხეთში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ და სომხურ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზად არის მოემსახუროს გერმანულ-ენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

www.georgien.ahk.de

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პრო-დუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

მსოფლიოს ლიდერი Messe Frankfurt წლის განმავლობაში 30-ზე მეტ ქვეყანაში აწყობს გამოფენას.

Messe Frankfurt განთქმულია თავისი განუმეორებელი წიგნების გამოფენით. ამას გარდა, იგი ორგანიზებას უწევს ისეთ გამოფენებს, როგორებიცაა Beautyworld, Paperworld (ქაღალდის, საოფისე, საკანცელარიო და სადღესასწაულო ნივთების საერთაშორისო გამოფენა), Musikmesse, Textiles & Textile Technology, Automechanika და სხვ.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოს მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

იხილეთ, 2017 წლის გამოფენების კალენდარი, როგორც [ფრანკფურტში](#), ასევე [მთელს მსოფლიოში](#). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

info@georgia.messefrankfurt.com

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაზრთიანება

გერმანიის
საერთაშორისო
სადასახურებო
სამსახურები

SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითვს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს იხდის კომპანია, რომელსაც აჰყავს ექსპერტი. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას არ შეუძლია არსებული ხარჯების დაფარვა, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრომ (BMZ) შესაძლოა დაფაროს ხარჯების ნაწილი.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მიმართოთ შემდეგ ვებ-გვერდს: www.ses-bonn.de, ბროშურა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ [ინგლისურ](#), [გერმანულ](#) და [რუსულ](#) ენებზე. თუ დაინტერესებული ხართ ექსპერტთა მომსახურებით მოგვმართეთ: ses@georgien.ahk.de

DWV-ს მომსახურებები

განათავსეთ რეკლამა DWV-ს ვებ-გვერდზე

DWV-ს ვებ-გვერდზე რეკლამის განათავსებლად, შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი მედია საშუალებებით:

- ბანერის განათავსება ჩვენს ვებ-გვერდზე (გერმანულად და ქართულად)
- ბანერის განათავსება ჩვენს გერმანულ საინფორმაციო ბიულეტენში (გამოიცემა 12-ჯერ თვეში)
- თქვენი ბანერის განათავსება ჩვენს მედია საშუალებებში მოგანიჭებთ შემდეგ უპირატესობებს:
- გაცნობთ თქვენს თავს საერთაშორისო პუბლიკას
- ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს იღებს 3.000-ზე მეტი გერმანელი მკითხველი
- რამოდენიმე მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში თქვენ ისარგებლებთ შეღავათიანი ფასებით

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი [მედიაკიტი](#) და დაგვიკავშირდით შემდეგ ელ. ფოსტაზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურება კომპანიებისათვის

თუ თქვენ ეძებთ გერმანულ ან ქართულენოვან თანამშრომლებს 5 წელზე მეტი გამოცდილებით, DWV გთავაზობთ ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურებას. ამ სერვისის ფარგლებში ჩვენ უსასყიდლო სტანდარტული კითხვარის მეშვეობით დაგეხმარებით თქვენთვის სასურველი კადრის მოძიებაში. თუ შეთანხმება თქვენსა და კანდიდატს შორის 3 თვეზე მეტხანს გაგრძელდა, ამ შემთხვევაში თქვენ დაგეგმისათვის გადასახადი. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: jobs@georgien.ahk.de

ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურება სამსახურის მაძიებელთათვის

2012 წლიდან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება საქართველოში გთავაზობთ კიდევ ერთი სახის: ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურებას. ამ მომსახურებით ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჩვენს წევრ ორგანიზაციებს, ქართულ და გერმანულ ენებზე მოლაპარაკე პერსონალით. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელსაც მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და საქართველოს მოქალაქეა და გერმანული ენა იცის ძალიან კარგად,

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაერთიანება

გერმანიის
საერთაშორისო
საეკონომიკური
სახელმწიფო

გერმანიის მოქალაქეა და ქართულ ენას ფლობს მაღალ დონეზე.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ შეავსონ კითხვარი და გამოგვიგზავნონ ელ-ფოსტაზე: jobs@georgien.ahk.de. კითხვარის გადმოწერა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან: [DWV HR კითხვარი](#)

კონსულტაცია გერმანიაში ექსპორტის შესახებ

DWV გთავაზობთ 45 წუთიან უფასო კონსულტაციას გერმანიაში ექსპორტის საკითხზე. კერძოდ ჩვენ:

- მიგითითებთ გერმანული კომპანიების მონაცემთა ბაზას, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი პროდუქტის პოტენციური მომხმარებლების მისამართების მოძიებაში.
- კონსულტაციას გაგიწევთ E-trade center-ის სისტემის შესახებ, სადაც შეგეძლება განათავსოთ თქვენი ბიზნეს მოთხოვნები უფასოდ.
- გაგიწევთ კონსულტაციას, თუ როგორ უნდა იპოვნოთ თქვენთვის საინტერესო საგამოფენო ღონისძიება მსოფლიოს მასშტაბით.
- ინფორმაციას მოგაწვდით ევროკავშირის Export Helpdesk-ის მონაცემთა ბაზაზე, სადაც მოცემულია ევროკავშირში არსებული საქსპორტო, საბაჟო ტარიფები და საჭირო დოკუმენტაცია.

DWV-ს პუბლიკაციები

საქართველო - მომავლის ბაზარი!

გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ Germany Trade and Invest (GTAI) - თან ერთად გამოსცა საქართველოს ეკონომიკის ღრმა მიმოხილვა 70 გვერდიანი საერთო პუბლიკაციის სახით. მკითხველს საშუალება ექნება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ეკონომიკური განვითარების, მზარდი სექტორების, სამართლებრივი და საგადასახადო რეგულირებისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ გერმანულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

გერმანული ფირმები საქართველოში 2016

DWV გთავაზობთ მარტში რედაქტირებულ რიგით მეექვსე გამოშვებას „გერმანული ფირმები საქართველოში“. ეს კრებული მოიცავს საქართველოში არსებულ 390-მდე

გერმანულ კომპანიას და 26 გერმანულ დაწესებულებას მისამართების, საქმიანობის სფეროსა და გენერალური დირექტორების გვარების მიხედვით. კრებულის საფასურია 155 ლარი დღგ ჩათვლით და მისი შეძენა შესაძლებელია შემდეგი ელ-ფოსტის მეშვეობით info@georgien.ahk.de DWV-ს წევრებისათვის კრებული უფასოა.

გერმანული ფირმები სომხეთში 2015

DWV გთავაზობთ პუბლიკაციის „გერმანული ფირმები სომხეთში“ პირველ გამოშვებას. ეს კრებული მოიცავს სომხეთში არსებულ 139 გერმანულ კომპანიასა და დაწესებულებას მისამართების, საქმიანობის სფეროებისა და გენერალური დირექტორების გვარების მიხედვით. კრებულის საფასურია 110 ლარი დღგს ჩათვლით და მისი შეძენა შესაძლებელია შემდეგი ელ-ფოსტის მეშვეობით info@georgien.ahk.de. DWV-ს წევრებისათვის კრებული უფასოა.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •

